საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

2022 წლის წლიური ანგარიში პროგრამების შესახებ

1. **სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: <u>თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</u>**

1.1 **<u>პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:</u>** საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება - (30 01)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
30 01	<u>საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება</u>	690 495.9	683 768.15	683 543.75	99.97%	

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტში განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ: დროებითი მოთავსების იზოლატორებისთვის შესყიდულ იქნა 5 ერთეული კომპიუტერი. დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახური აღიჭურვა ელექტრონული ტექნიკით 8 (კომპიუტერი) და ავეჯით.
- სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებულ 5 უცხოელს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში გაეწია სამედიცინო მომსახურება.
- სამინისტროს მიერ, კანონმდებლობის შესაბამისად, 2 უცხოელისთვის განხორციელდა სამგზავრო ავია-ბილეთის შეძენა და მისი წარმოშობის ქვეყანაში იძულებითი დაბრუნება.
- სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურმა დეპარტამენტმა წარმატებით გაიარა აკრედიტაციის ყოველწლიური შეფასება და შეინარჩუნა ექსპერტიზის ლაბორატორიების აკრედიტაცია საერთაშორისო სტანდარტის ISO17025:2017-ის მიხედვით. კერძოდ, აკრედიტაცია შეინარჩუნა შემდეგმა 8 ლაბორატორიამ: ქ. თბილისის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორია; ქ. თბილისის ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორია; ქ. თბილისის დოკუმენტების ტექნიკური და გრაფიკული ექსპერტიზის ლაბორატორია; ქ. თბილისის ბალისტიკური ექსპერტიზის ლაბორატორია; გორის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორია; ახალციხის

დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორია; ქ. ბათუმის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორია; ქ. ბათუმის დოკუმენტების ტექნიკური და გრაფიკული ექსპერტიზის ლაბორატორია.

- 2021 წელს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა სამინისტროს მასშტაბით კავშირგაბმულობის სისტემის „Dimetra" განახლების და მხარდაჭერის მომსახურების (ვადაგაგრძელებული საგარანტიო მომსახურება) პროცესი.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობის სამომავლო მიმართულებების განხილვის მიზნით;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შეხვედრა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილესთან და საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) წარმომადგენელთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებთან და საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისართან და საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელთან;
- სამინისტროში ყაზახეთის შს სამინისტროს დელეგაციის სამუშაო ვიზიტი და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შეხვედრა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფების წარმომადგენლებსა და დელეგაციის წევრებს შორის;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შეხვედრა საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლებთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შეხვედრა ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკისა (CSDP) და კრიზისებზე რეაგირების დირექტორატის ხელმძღვანელთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ესპანეთის სამეფოში. შეხვედრები ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრთან და ესპანეთის სამეფოს სამოქალაქო გვარდიის გენერალურ დირექტორთან;
- თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტისაქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები შინაგან საქმეთა მინისტრთან, ასევე სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების ხელმძღვანელებთან თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვის მიზნით;
- შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ქვეკომიტეტის დელეგაციასთან, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) საქმიანობის განხილვის მიზნით და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელთან, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ არსებული მდგომარეობის განხილვის მიზნით;

- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შეხვედრა ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლეს კომისართან. შეხვედრის ფარგლებში მხარეთათვის აქტუალური საკითხების, მათ შორის სამინისტროში მიმდინარე და განხორციელებული რეფორმების განხილვის მიზნით;
- შინაგან საქმეთა მინისტრის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შეხვედრა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) დირექტორთან;
- სამინისტროს დელეგაციის სამუშაო ვიზიტი ლატვიის რესპუბლიკაში, მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით. შეხვედრა ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესთან. სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელსა და ლატვიის სახელმწიფო საზღვრის დაცვის უფროსის მიერ მემორანდუმის ხელმოწერა, რომლის ფარგლებშიც, უახლოეს მომავალში სამინისტროს, ლატვიის რესპუბლიკისგან საჩუქრად ვერტმფრენი გადმოეცემა;
- უზბეკეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციის სამუშაო ვიზიტი, უზბეკეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან, ასევე სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფების ხელმძღვანელ პირებთან, სამინისტროში განხორციელებული რეფორმების, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მონაწილეობა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ საქართველოს მე-5 პერიოდული ანგარიშის განხილვაში;
- აშშ ელჩის ვიზიტი შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში;
- შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხებში ბელგიის სამეფოს სახელმწიფო მდივანთან. ვიზიტი სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრსა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტში;
- შინაგან საქმეთა მინისტრის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა თურქეთის რესპუბლიკის ახლად დანიშნულ ელჩთან და ირანის ისლამური რესპუბლიკის ახლად დანიშნულ ელჩთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა სომხეთის რესპუბლიკის ახლად დანიშნულ ელჩთან. სამომავლო ურთიერთობების პრიორიტეტული მიმართულებების განხილვის მიზნით;
- შინაგან საქმეთა მინისტრის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ევროკავშირის წარმომადგენლობის ახლად დანიშნულ ხელმძღვანელთან, სამინისტროს საქმიანობის შესაბამისი მიმართულებების და ევროკავშირის სააგენტოებთან წარმატებული ურთიერთობის განხილვის მიზნით;
- შინაგან საქმეთა მინისტრის და შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის გამოსამშვიდობებელი შეხვედრა საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შეხვედრა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ტაჯიკეთის რესპუბლიკის პარლამენტის ვიცე-სპიკერთან, მიგრაციისა და თავშესაფრის საკითხებზე საქართველოს გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით;
- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილისა და სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის მონაწილეობა "პრაღის პროცესის" მინისტრთა მეოთხე კონფერენციაში;

- შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მონაწილეობა ევროპის საბჭოს და ევროკავშირის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში - "სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სამართლებრივი ჩარჩო, მიმდინარე რეფორმა და საკითხები შემდგომი გაუმჯობესებისთვის";
- შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ვიზიტი ისრაელში, შეხვედრა ისრაელის ეროვნული პოლიციის ხელმძღვანელთან;
- საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS) ხელმძღვანელის, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრთან;
- შინაგან საქმეთა მინისტრის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩთან და საბერძნეთის რესპუბლიკის ელჩთან;

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა შემდეგი მრავალწლიანი პროექტები:

- ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. №5-ში მდებარე შენობა №15(1)-ის და №28(1) სადემონტაჟო და ახალი სასაწყობე შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- ადიგენის რაიონის სოფელ აბასთუმანში მდებარე მიწის ნაკვეთზე, სამინისტროს პოლიციის ადმინისტრაციული შენობის და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო შენობის დასრულების სამშენებლო სამუშაოები;
- გარდაბანში, სოფელ კრწანისში მდებარე მიწის ნაკვეთზე, სამინისტროს დანაყოფისთვის: ყაზარმის, სასადილოს, სპორტდარბაზის, გამშვები პუნქტის, ავტოფარდულის, სამი ცალი-ცალკე მდგომი სველი წერტილის შენობის, საქვაბის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის დასრულების სამუშაოები;
- ქ. ქუთაისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დანაყოფის დისლოკაციისთვის შესაბამისი ბაზის სამშენებლო სამუშაობის შესყიდვა და ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შენობა N1-ში (არსებული სასადილო) სარემონტო სამუშაოები.
- ქ. თბილისში, პოლიციის ქ. №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ლაზარეთის შენობა №4(2), საკონტროლო გამშვები პუნქტი შენობა №3(1) სახურავის, გარე ტერიტორიის განათების, შენობა №12-1, შენობა №11-1, შენობა №10-1 სარემონტო სამუშაოები და ღია ავტოფარეხების სამშენებლო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, გულუას ქ. №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №1(10)-ის სარემონტო სამუშაოები;
- ახალციხეში, რუსთაველის ქ. №91-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე შენობა №1(04)-ში, მარნეულში, გოგებაშვილის ქ. №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა №01-ში და საგარეჯოში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების სარემონტო სამუშაოები და წალკაში, 25 მარტის ქ. №68-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე შენობა №01-ში განთავსებული სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორის სარემონტო და პანდუსის მოწყობის სამუშაოები;
- სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის ჰაერსატარი მილების და მინის ფასადის სარემონტო სამუშაოები;

- სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. №1-ში, ეკატერინე ბაღდავაძის ქ.№8-ში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ.№114-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე და გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩაზე გარე საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, სოფელ დიდ ლილოში ერეკლე მეორის ქუჩა №87-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს შენობა №01(4)-ის სარემონტო სამუშაოები;
- ქ. თბილისში, ავჭალის ქუჩა №7-ში მდებარე, სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორის ტერიტორიაზე ავტოსამრეცხაოს მშენებლობის, არსებული შენობა №02(2) მიმდებარედ მიწისქვეშა დრენაჟის მოწყობის და ტერიტორიაზე არსებული მინის ჯიხურის გადატანის სამუშაოები;
- ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. №1-ში მდებარე, შენობა-ნაგებობა №24(1)-ის საფეხბურთო მოედნის, თბილისში პოლიციის ქ. №10-ში მდებარე შენობა №46(1)-ის საფეხბურთო მოედნის და გორის მუნიციპალიტეტის კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული საფეხბურთო მოედნის სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის ღია დეკორაციული აუზის და ავტომობილის პანდუსის სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-4 და მე-6 განყოფილებების ადმინისტრაციული შენობების სამშენებლო - სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-3, მე-5 და მე-7 განყოფილებების ადმინისტრაციული შენობების კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რ/ს ჩაქვის პოლიციის განყოფილების შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის და მუხაესტატეს პოლიციის განყოფილების შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს პოლიციის I, V სამმართველოს და ისანი სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის VIII სამმართველოს ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის მუხრანის პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის სარემონტო და ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები;

- სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ყაზბეგის რაიონული სამმართველოს შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს ქვემო-ქართლის პოლიციის დეპარტამენტის შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (რუსთავის რ/ს 2-ე განყოფილება, გარდაბნის რ/ს თელეთის განყოფილება, გარდაბნის რ/ს გაჩიანის განყოფილება, ბოლნისის რ/ს თამარისის განყოფილება, ბოლნისის რ/ს კაზრეთის განყოფილება, თეთრიწყაროს რ/ს კოდის განყოფილება);
- სამინისტროს შიდა-ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხიდისთავის და ტყვიავის პოლიციის განყოფილების შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის, ბარალეთის პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის, ვალის პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის და განძის პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ბორჯომის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სამინისტროს სამცხე–ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის იორმუღანლოს პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის, წნორის პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის და საგარეჯოს რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის, სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზესტაფონის რ/ს და თერჯოლის რ/ს ადმინისტრაციული შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სამტრედიის რაიონული სამმართველოსა და ქუთაისის სამმართველოს №3 და №6 პოლიციის განყოფილებების ადმინისტრაციული შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის სამმართველოს №1 განყოფილების შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს შენობის და ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს სუფსის პოლიციის განყოფილების შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და ადმინისტრაციული შენობის ეზოში ასაშენებელი საწყობისა და სამრეცხაოს სამშენებლო სამუშაოები;
- სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორების სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მარტვილისა და აბაშის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობების და მესტიის რ/სამმართველოს ბეჩოს განყოფილების სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის, ზუგდიდის რაიონული სამმართველოს ანაკლიის, ინგურქაღალდ კომბინატის, ნარაზენის

განყოფილებების და წალენჯიხის რაიონული სამმართველოს ჯვარის განყოფილების სარემონტო სამუშაოები;

- სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ფოთის საქალაქო სამმართველოსა და ნაბადის განყოფილების სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სენაკის რაიონული სამმართველოს და დროებითი მოთავსების იზოლატორის სარემონტო სამუშაოები;
- სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის სახურავის სარემონტო სამუშაოები.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში განვითარებული ოპერატიული და საერთაშორისო თანამშრომლობა;
- დროებითი მოთავსების იზოლატორების სრულყოფილი ფუნქციონირება;
- დროებითი განთავსების ცენტრში განთავსებული მიგრანტებისთვის და თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში განთავსებულ თავშესაფრის მაძიებელთათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაუმჯობესებული საზოგადოებრივი წესრიგი, დანაშაულთან ბრძოლა და ამაღლებული ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხი;
- რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა, განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ავტოპარკი, გაუმჯობესებული და დაცული სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური გარანტიები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ოპერატიული და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, ხელმოსაწერად მომზადდა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები.
- რეაბილიტირებულია დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურა და ნაწილობრივ განახლებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- დროებითი განთავსების ცენტრში განთავსებული მიგრანტებისთვის და თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში განთავსებულ თავშესაფრის მაძიებელთათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განახლებულია ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილი;
- განხორციელებულია მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვისთვის საჭირო ღონისძიებები; უზრუნველყოფილია სამართალწარმოების ეტაპზე არასრულწლოვნების და ზოგადად მოწმის და დაზარალებულების ინტერესების დაცვის მაღალი სტანდარტი და შექმნილია ნაკლებსტრესული გარემო;
- რეაბილიტირებულია სამინისტროს ინფრასტრუქტურის ნაწილი, განახლებულია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ავტოპარკის ნაწილი, გაუმჯობესებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური გარანტიები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციის UNICEF-ის დახმარებით ქ. რუსთავის პოლიციის შენობაში მოწყობილია ბავშვზე მორგებული სივრცე (ბავშვზე მორგებული 30 კვ.მ სტუდიოს ტიპის სივრცე, აღნიშნული იზოლირებული სივრცე სხვა ოთახებთან დაკავშირებული იქნება დამოუკიდებელი შესასვლელით, რომელიც ადაპტირებულია შშმპ-სთვის, ხოლო იმავე სივრცეში არსებული დაკვირვების ოთახი აღჭურვილია ვიდეო-აუდიო ჩაწერისთვის საჭირო ტექნიკით); სამინისტროს კახეთის პოლიციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტებისა და ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარ სამმართველოს შენობებში შექმნილი ბავშვის ინტერესზე მორგებული სივრცე (ბავშვზე მორგებული 30 კვ.მ სტუდიოს ტიპის სივრცე, აღნიშნული იზოლირებული სივრცე სხვა ოთახებთან დაკავშირებულია დამოუკიდებელი შესასვლელით, რომელიც ადაპტირებულია შშმპ-სთვის, ხოლო იმავე სივრცეში არსებული დაკვირვების ოთახი აღჭურვილია ვიდეო-აუდიო ჩაწერისთვის საჭირო ტექნიკით); დღეის მდგომარეობით სამინისტროს სისტემაში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სამსახურის ფუნქციონირებისთვის შექმნილია შესაბამისი სამართლებრივი ბაზა; თბილისის პოლიციის დეპარტამენტის 5 სამმართველოში ამოქმედებულია მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი და დანიშნულია - 365 მართლწესრიგის ოფიცერი; დღეის მდგომარეობით მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი დანერგილია და ვითარდება მხოლოდ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამეტში. აღნიშნული რეფორმის ფარგლების გაფართოების მიზნით ეტაპობრივად სხვა ტერიტორიულ ორგანოებშიც უნდა დაინერგოს;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის შენობაში შექმნილია ბავშვზე მორგებული სივრცე; მოწმისა და დაზარალებულის მინიმუმ 14 კოორდინატორის არსებობა სამინისტროში; მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ამოქმედებულია სამინისტროს 2 ტერიტორიულ ორგანოში და მართლწესრიგის ოფიცერთა შემადგენლობა გაზრდილია 14%-ით;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2022 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: სამინისტროს სისტემაში არსებობს 14 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი. 2022 წლის მდგომარეობით, სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში სრულად ამოქმედებულია მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი და დანიშნულია 332 მართლწესრიგის ოფიცერი; მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ამოქმედებულია სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ქ. რუსთავის საქალაქო სამმართველოში, სადაც დანიშნულია 19 მართლწესრიგის ოფიცერი.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: ბავშვზე მორგებული სივრცე უნდა მოემსახუროს სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რამდენიმე სამმართველოს, რომლებსაც განსხვავებული გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნიათ. საქართველოს კანონმდებლობით, არასრულწლოვანის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობა დროის თვალსაზრისით ლიმიტირებულია. ასევე, სხვა მონაწილე პირებისთვის, ტრანსპორტირების ნაკლები დრო უნდა იყოს საჭირო, რამაც ხელი უნდა შეუწყოს პროცესის ეფექტიანობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპისთვის, ვერ მოხერხდა რელევანტური სივრცის მოძიება.

ვინაიდან 2021 წელი დასრულდა დაგეგმილი 365 მართლწესრიგის ოფიცრის ნაცვლად 298 მართლწესრიგის ოფიცრით, საბაზისო წელს დაგეგმილი 14% მატება აითვლება 298 მართლწესრიგის ოფიცრით და შესაბამისად რეალური მატება შეადგენს 18%.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 34 პარტნიორ სახელმწიფოსთან (სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ბულგარეთი, ჩინეთი, ჩეხეთი, ეგვიპტე, ესტონეთი, ფიჯი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისრაელი, იტალია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიეტუვა, მალტა, მოლდოვა, პოლონეთი, კატარი, რუმინეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, თურქეთი, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო, აშშ, უზბეკეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები) გაფორმებულია შეთანხმება/მემორანდუმი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის/პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ; ევროპის 6 სახელმწიფოსთან (ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, მოლდოვა, რუმინეთი) ხელმოწერილია ერთობლივი განცხადებები ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ; გერმანიის 4 ფედერალური მიწის (რაინლანდ–პფალცი, ბადენ–ვიურტემბერგი, ჰესენი, საქსონია) შესაბამის სამინისტროებთან ხელმოწერილია მემორანდუმები თანამშრომლობის შესახებ; ევროკავშირთან და 7 პარტნიორ სახელმწიფოსთან (ბელარუსი, დანია, ისლანდია, მოლდოვა, ნორვეგია, შვეიცარია, უკრაინა) ხელმოწერილია შეთანხმებები უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ, ევროკავშირის წევრ 12 სახელმწიფოსთან (ბულგარეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ავსტრია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, ლიეტუვა, სლოვაკეთი, გერმანია, რუმინეთი, ჩეხეთი) გაფორმებულია რეადმისიის საიმპლემენტაციო ოქმები; გაფორმებულია 14 შეთანხმება საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ბულგარეთი, უნგრეთი, ისრაელი, იორდანია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, მალტის ორდენი, რუსეთი, უკრაინა), 9 პარტნიორ სახელმწიფოსთან გაფორმებულია შეთანხმება სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ (აზერბაიჯანი, ბულგარეთი, ესტონეთი, თურქეთი, ლატვია, მოლდოვა, სომხეთი, უკრაინა, ჩინეთი) 2021 წლის მდგომარეობით სამინისტროს მიერ მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების სფეროში შეთანხმებები ჯერ არ არის გაფორმებული;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სერბეთთან და ბელგიასთან გაფორმებული შეთანხმება; სხვა შესაბამის ქვეყნებთან მოლაპარაკების/კონსულტაციის წარმოება შეთანხმებების და მემორანდუმების გაფორმების მიზნით; პოლონეთთან გაფორმებული ერთობლივი განცხადება, სხვა შესაბამის ქვეყნებთან კონსულტაციის წარმოება; სერბეთთან გაფორმებული რეადმისიის შესახებ შეთანხმება და ლატვიასთან გაფორმებული რეადმისიის საიმპლემენტაციო ოქმი, სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკების წარმოება; საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ ავსტრიასთან გაფორმებული შეთანხმება, სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკების წარმოება; სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ესტონეთთან გაფორმებული ოქმი; მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების სფეროში იტალიასთან გაფორმებული შეთანხმება; სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკების წარმოება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2022 წელს განხორციელდა: უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების პროექტი მზად არის გაერთიანებულ სამეფოსთან ხელმოსაწერად. უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების საიმპლემენტაციო ოქმის პროექტი მზად არის ესპანეთის სამეფოსთან ხელმოსაწერად. სერბეთთან, ბელგიასთან, პოლონეთთან, ლატვიასთან, ავსტრია, ესტონეთთან და იტალიასთან, დაწყებულია და გრძელდება მოლაპარაკებები.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სერბეთთან, ბელგიასთან, პოლონეთთან, ლატვიასთან, ავსტრია, ესტონეთთან და იტალიასთან, დაწყებულია და გრძელდება მოლაპარაკებები (მაღალი დონის ვიზიტი არ განხორციელებულა) შესაბამისი შეთანხმებების გასაფორმებლად.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დროებითი მოთავსების იზოლატორების 77% გამართულ მდგომარეობაშია; დღეის მდგომარეობით იზოლატორებში არსებული ინვენტარის 88% ვარგისია შემდგომი ექსპლუატაციისთვის;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - აშენებული ბათუმის, გარემონტებული ფოთის, საგარეჯოს, წალკის და გორის დროებითი მოთავსების იზოლატორები; არსებული ინვენტარის 6% განახლებულია.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2022 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა ახალციხის, საგარეჯოს, წალკის და მარნეულის დროებითი მოთავსების იზოლატორები, შშმ პირებისთვის ადაპტირებული ერთი საკანი გორის დროებითი მოთავსების იზოლატორში; იზოლატორებში არსებული ინვენტარის 4% განახლებულია.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: საჭიროებიდან გამომდინარე დამატებით გარემონტდა ზუგდიდის და სენაკის დროებითი მოთავსების იზოლატორები. კოსმეტიკური რემონტი ჩატარდა ქობულეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში, ქ. თბილისის დროებითი მოთავსების მთავარი სამმართველოს ქ. თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორის (სამმართველო) 10 საკანში და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამსახურის ახალქალაქის დროებითი მოთავსების იზოლატორის (განყოფილება) შესასვლელ კორიდორში და 3 (სამი) საკანში.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - მიგრაციის დეპარტამენტის გამართული ფუნქციონირებისთვის და ბენეფიციართა სამართლებრივი გარანტიების დაცვისთვის აუცილებელია მიგრანტების საჭიროებებზე მორგებული ადმინისტრაციული შენობა, რომელიც დღეის მდგომარეობით დეპარტამენტს არ გააჩნია; სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება/შევსება. დღეის მდგომარეობით გასაახლებელია სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 80%; კლიმატური პირობებიდან გამომდინარე შენობის გარე ფასადზე მიყენებულია ზიანი; საგანგებო მდგომარეობის დროს (მაგ. ხანძარი მიწისძვრა და ა. შ.) საჭიროა საევაკუაციო კიბის არსებობა შესაბამისად დღეის მდგომარეობით განთავსების ცენტრის შენობის ქალთა და მამაკაცთა ფლიგელებისთვის ფუნქციონირებს საევაკუაციო კიბეები; მიმღებ ცენტრში განთავსებული ბავშვიანი ოჯახებისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საჭიროა არსებობდეს ბავშვთა სათამაშო სივრცე, რომელიც დღეის მდგომარეობით მწყობრიდან არის გამოსული;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - აშენებულია ახალი ადმინისტრაციული შენობა; საოჯახო ფლიგელში დამონტაჟებულია საევაკუაციო კიბე; განახლებულია ბავშვთა სათამაშო სივრცე (40 კვ,მეტრ ფართობზე გასწორებული და დაბეტონებული მოედანი; მოწყობილი რბილი საფარი და ფერადი მესერი); 10%-ით განახლებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2022 წელს განხორციელდა: განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 10%-ით; თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის ეზოში

გარემონტდა ბავშვთა სათამაშო სივრცე. მიგრაციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში, დროებითი განთავსების ცენტრში განთავსებამდე დაკავებული უცხოელებისთვის მოეწყო სპეციალური დასათვალიერებელი ოთახი, ასევე, დეპარტამენტის მოსამსახურეთათვის დამატებითი სამუშაო სივრცე და ცენტრში განთავსებული პირებისთვის კომპიუტერების ოთახი. დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში ჩატარდა შიდა კედლების გარკვეული ნაწილის სამღებრო სამუშაოები. თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი) განხორციელდა ორივე კორპუსის სამღებრო-შელესვით სამუშაოები, პირველ კორპუსში აღდგა სველი წერტილები და განახლდა ეზოს გარე პერიმეტრის განათების სისტემა.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის ეზოში ბავშვთა სათამაშო სივრცე გარემონტდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ; ახალი ადმინისტრაციული შენობა არ აშენებულა.

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭიროა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება. დღეის მდგომარეობით თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით გასაახლებელია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 65%; საპატრულო პოლიციისთვის 2020 წელს შეძენილია 120 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, ასევე ოპერატიული დანაყოფებისთვის 2020 წელს - 140 ერთეული, თუმცა სამინისტროს სპეციფიკის გათვალისწინებით აღნიშნული რაოდენობის და მოდიფიკაციის სატრანსპორტო საშუალებების შეძენა ვერ უზრუნველყოფს სამინისტროს ავტოპარკის საჭიროებისამებრ განახლებას; სამინისტროს ბალანსზე არსებული მდგომარეობით ირიცხება 323 ადმინისტრაციული შენობა, მათი მხოლოდ 30% აკმაყოფილებს სამუშაო პირობებს სრულად; სამინისტრო პერიოდულად ახორციელებს სამინისტროს მოსამსახურეთათვის სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესებას და მათი მატერიალური უზრუნველყოფის კიდევ უფრო მეტად ხელშეწყობას. ერთ-ერთი პრიორიტეტია სამინისტროს მოსამსახურეების საცხოვრებლით უზრუნველყოფა, რა მიზნითაც გასულ პერიოდში განხორციელდა არაერთი პროექტი;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 5% განახლებული სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; 2021 წელს გაფორმებული მრავალწლიანი ხელშეკრულებების ფარგლებში 2022 წელს გადასახდელია ოპერატიული დანაყოფებისთვის შეძენილი 300 ერთეული მაღალი გამავლობის (მსუბუქი) სატრანსპორტო საშუალების და 100 მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებების თანხები; რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის 5%. დამატებით 2 შენობის აშენება; დაწყებულია შესაბამისი პროცედურები ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №69-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე 1100 (ათას ასი) ბინიანი „პოლიციის ქალაქის“ ასაშენებლად (ანაზღაურებულია მშენებლობის ღირებულების დაახლოებით 15%);

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2022 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: 5%-ით განახლდა სამინისტროს მატერიალურ ტექნიკური ბაზა მ.შ შეძენილია: 100 კომპლექტი სამკერდე კამერა (80 მუდმივმოქმედი ლიცენზიით), სხვადასხვა კავშირგაბმულობის საშუალებები, დიზელ-გენერატორები, სასერვერო ინფრასტრუქტურა (თანმდევი მომსახურებით),

ვიდეოკონფერენციის აპარატურა, სტანდარტული პერსონალური კომპიუტერები (კომპლექტი), ლეპტოპები, ISS SecurOS პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის მომსახურება, სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად არსებული სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის ვადის გაგრძელების მომსახურება, ბალისტიკური ავტომატური საძიებო საიდენტიფიკაციო სისტემის სკანერები (კომპლექტში - ინსტალაციით), სამინისტროს დანაყოფების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი), სხვადასხვა კავშირგაბმულობის საშუალებები, საექსპერტო სახარჯი მასალები, სხვადასხვა სახის სპორტული და კრიმინალისტიკური ინვენტარი, ფერადი პრინტერები და სკანერები, დასალუქი კონტეინერები, კონდიციონერები, სამინისტროს მოსამსახურეებისთვის შესაბამისი უნიფორმები და აღჭურვილობა. საანგარიშო პერიოდში სამინისტროს რეაბილიტირებული და ახლად აშენებული შენობებისთვის შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის ავეჯი და ტექნიკა.

საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა ოპერატიული დანიშნულების 150 სატრანსპორტო საშუალება. ანაზღაურებულია ოპერატიული დანაყოფებისთვის შეძენილი 100 ერთეული სატრანსპორტო საშუალების და 300 ერთეული სპეციალიზებული (პიკაპი) ტიპის სატრანსპორტო საშუალების თანხები (აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების მოწოდება განხორციელდა 2021 წელს, თუმცა თანხის გადახდა ხორციელდება მომდევნო, 2022-2025 წლებში), საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 30 ერთეული სამგზავრო ავტობუსის შეძენა, აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების მოწოდება განხორციელდა 2022 წლის ბოლოს, თუმცა თანხის გადახდა განხორციელდება მომდევნო წლებში (2023-2025 წ.წ.).

რეაბილიტირებულია სამინისტროს ინფრასტრუქტურის დაახლოებით 5% აშენებულია - 1 შენობა:

- აშენებულია ქ. თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ახალიადმინისტრაციული შენობა;
- მოწყობილია გორში, მშვიდობის გამზირზე მდებარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შენობა 01-ის საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრი და ტერიტორია;
- გარემონტებულია თბილისში, პოლიციის ქუჩა №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა (ყაზარმა) №2(3) და შენობა (სპორტდარბაზი) №6(2);
- გარემონტებულია გორში, მშვიდობის გამზირზე მდებარე, შენობა №1-ში და ქობულეთში, რუსთაველის №168ა-ში მდებარე შენობა №1-ში განთავსებული სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორები;
- გარემონტებულია თბილისში, პოლიციის ქ. №10-ში სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №2(3);
- გარემონტებულია თბილისში, გულუას ქ. №10-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №01(10);
- გარემონტებულია თბილისში, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შსს განსაკუთრებულ დავალებთა დეპარტამენტის I სამმართველოს ტერიტორიაზე შენობა N25(1), N15(1) და N2(3);
- გარემონტებულია ქ. თბილისში, გულუას ქ. №10-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №01(10)-ში არსებული სველი წერტილები;

- განხორციელდა თბილისში, გახოკიძის ქ. №16-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის შენობა №01(2)-ის და სოფელ მარტყოფში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის შენობა №02(2)-ის სარემონტო სამუშაოები;
- განხორციელდა ახმეტის რაიონის სოფელ ძიბახევში სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის შესასვლელის ლითონის კარკასზე ლამექსის მინის გადახურვის მოწყობის და შიდა ტერიტორიაზე სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტისთვის ორი ერთეული საგუშაგო ჯიხურის სამშენებლო სამუშაოები;
- განხორციელდა გარდაბნის რაიონის, სოფელ კრწანისში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს დანაყოფისთვის სასროლეთის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა შესყიდვის ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს, ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №69-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, 1 100 ბინიანი პოლიციის ქალაქის მშენებლობის მიზნით, ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების, საჭირო განაშენიანების დეტალური გეგმისა და არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომზადებას და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოებს. (აღნიშნული პროექტი ხორციელდება 2022-2027 წლებში, ანაზღაურებულია 2022 წელს გადასახდელი თანხები).

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში დამატებით შეძენილი იქნა 150 ცალი ოპერატიული დანიშნულების სატრანსპორტო საშუალება და 30 ერთეული სამგზავრო ავტობუსი.